

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონით (კანონი) განსაზღვრული მე-7 მუხლის მე-6 ნაწილით მოთხოვნილ ინფორმაციის შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების არსებობის შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე. ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგების საქმიანობის მიმოხილვის ნაწილის კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოდგენლობის შემთხვევის შესახებ.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგებაში ასახეული ინფორმაცია თანხვედრაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან და მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ლევან ბერიძე (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-660546)

შპს „ემდიემ კონსალტინგის“ სახელით

თბილისი, საქართველო

29 სექტემბერი 2021 წელი



შპს „თბილისის პედიატრიული პრივატ კლინიკა“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

	შენიშვნა	31.12.2020	31.12.2019
შემოსავალი	4	5,385,613	7,266,786
სხვა შემოსავალი	5	276,248	168,524
სულ შემოსავალი		5,661,861	7,435,310
მარაგის ცვლილება		12,447	(57,796)
შესყიდული მასალების დანახარჯი		(829,263)	(712,817)
შრომის ანაზღაურება		(2,407,466)	(2,839,032)
ცვეთა და ამორტიზაცია	9	(495,968)	(454,596)
სხვა ხარჯები	6	(535,428)	(436,310)
სულ საოპერაციო ხარჯები		(4,255,678)	(4,500,551)
შემოსავალი საოპერაციო საქმიანობიდან		1,406,183	2,934,759
ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი), ნეტო	7	236,199	72,954
მოგება დაბეგვრამდე		1,642,382	3,007,713
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წმინდა მოგება		1,642,382	3,007,713

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2021 წლის 28 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი

გიორგი ამისულაშვილი

მთავარი ბუღალტერი

ქ.ღვინიაძე



11 - 29 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის მართვისთვის. ფინანსური ინსტრუმენტების სავალუტო ანალიზი მოცემულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნაში (შენიშვნა 18).

დანართი 1

განმარტებები არაფინანსური მაჩვენებლების გაანგარიშებასთან

დაკავშირებით: განმარტება 1. გატარებული პაციენტების რაოდენობა

(სტაციონარი)


საანგარიშო წლის განმავლობაში კლინიკის მიერ ჰოსპიტალიზებული პაციენტების რაოდენობა.

განმარტება 2. საწოლზე დაყოვნების საშუალო დაყოვნების მაჩვენებელი

(გატარებული საწოლ-დღეების საერთო რაოდენობა) / (ჰოსპიტალიზაციის ყველა შემთხვევის რაოდენობა). აღნიშნული მაჩვენებელი ხარისხობრივი მაჩვენებლების კატეგორიას განეკუთვნება. როცა კლინიკაში სამედიცინო საქმიანობა კარგადაა ორგანიზებული, პაციენტის დიაგნოსტიკა და მკურნალობა სტანდარტების შესაბამისად, ოპერატიულად, დროითი დანაკარგის გარეშე მიმდინარეობს. პაციენტი კლინიკაში დიდხანს არ ყოვნდება, სასურველი შედეგის მიღწევა დროულად ხდება, პაციენტი ამოწურავს ჰოსპიტალიზაციის სტანდარტით გათვალისწინებულ ვადას (დაასრულებს სტაციონარული მკურნალობის ეტაპს) და ეწერება კლინიკიდან ამბულატორული მკურნალობისა და რეაბილიტაციისთვის.

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2021 წლის 28 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

გენერალური დირექტორი



გ.ამისულაშვილი



შპს „თბილისის პედიატრიული პრივატ კლინიკა“

ფინანსური ანგარიშგება და მმართველობის ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შინაარსი:

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება.....	3
--	---

ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	7
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	8
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	9
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	10

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია.....	11
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	11
3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	19
4. შემოსავლები სამედიცინო საქმიანობიდან	19
5. სხვა შემოსავალი	19
6. სხვა ხარჯები.....	20
7. ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი), ნეტო	20
8. მოგების გადასახადი	20
9. ძირითადი საშუალებები	21
10. არამატერიალური აქტივები	22
12. მარაგები.....	22
12. საგადასახადო აქტივი	22
13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	23
14. ფული და ფულის ეკვივალენტები	23
15. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	23
16. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა	24
17. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	28
18. პირობითი ვალდებულებები	28
19. საწარმოს უწყვეტობის განხილვა.....	29
20. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	29
21. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება.....	29

მმართველობის ანგარიშგება.....	30
-------------------------------	----

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „თბილისის პედიატრიული პრივატ კლინიკის“ ხელმძღვანელებს და მეწილეებს,

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „თბილისის პედიატრიული პრივატ კლინიკის“ ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, აღნიშნული თარიღით დასრულებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი მოსაზრებით, მოცემული ფინანსური ანგარიშგება, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით სამართლიანად და სრულად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფინანსური შედეგებისა და ფულადი ნაკადების ჩათვლით ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიული ეთიკის კოდექსის“ შესაბამისად. აგრეთვე, ვასრულებთ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს, რომლებიც აღნიშნული კოდექსით არის განსაზღვრული. გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

ჩვენს პასუხისმგებლობას წარმოადგენს, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფასს-ების სრულად შესაბამის პირველ ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და განვიხილოთ, მოიცავს თუ არა მმართველობის ანგარიშგება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და

სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის სფეროს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას წარმოადგენს, შეაფასოს აქვს თუ არა კომპანიას უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს სხვა არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშგება მოამზადოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას იქონიებენ მომხმარებლის მიერ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას ჩვენ მივმართავთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

- ◆ ვახორციელებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკების იდენტიფიცირებას. ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და

მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარმოდგენას, ფაქტების დამახინჯებას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას;

- ◆ შევისწავლით აუდიტისთვის შესაბამის შიდა კონტროლის სისტემას რათა დავგეგმოთ აუდიტორული პროცედურები რომლებიც არის შესაფერისი კონკრეტულ გარემოებებთან, მაგრამ არა იმ მიზნით რომ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე გამოვთქვათ მოსაზრება;
- ◆ ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას. ასევე, მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებებისა და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მიზანშეწონილობას.
- ◆ დასკვნა გამოგვაქვს იმის შესახებ, თუ რამდენად მიზანშეწონილია ხელმძღვანელობის მიერ აღრიცხვისთვის ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენება და მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებაზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. აუდიტორის დასკვნაში ვალდებულები ვართ, რომ ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე იმ შემთხვევაში თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა;
- ◆ ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

სხვა საკითხებთან ერთად. ხელმძღვანელობასა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის მასშტაბებისა და ვადების, აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგების, მათ შორის შიდა კონტროლის მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, რომლებიც გამოვლენილ იქნა აუდიტის პროცესში.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონით (კანონი) განსაზღვრული მე-7 მუხლის მე-6 ნაწილით მოთხოვნილ ინფორმაციის შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების არსებობის შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე. ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგების საქმიანობის მიმოხილვის ნაწილის კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევის შესახებ.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგებაში ასახეული ინფორმაცია თანხვედრაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან და მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ლევან ბერიძე (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-660546)

შპს „ემდიემ კონსალტინგის“ სახელით

თბილისი, საქართველო

29 სექტემბერი 2021 წელი

შპს „თბილისის პედიატრიული პრივატ კლინიკა“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

	შენიშვნა	31.12.2020	31.12.2019
შემოსავალი	4	5,385,613	7,266,786
სხვა შემოსავალი	5	276,248	168,524
სულ შემოსავალი		5,661,861	7,435,310
მარაგის ცვლილება		12,447	(57,796)
შესყიდული მასალების დანახარჯი		(829,263)	(712,817)
შრომის ანაზღაურება		(2,407,466)	(2,839,032)
ცვეთა და ამორტიზაცია	9	(495,968)	(454,596)
სხვა ხარჯები	6	(535,428)	(436,310)
სულ საოპერაციო ხარჯები		(4,255,678)	(4,500,551)
შემოსავალი საოპერაციო საქმიანობიდან		1,406,183	2,934,759
ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი), ნეტო	7	236,199	72,954
მოგება დაბეგვრამდე		1,642,382	3,007,713
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წმინდა მოგება		1,642,382	3,007,713

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2021 წლის 28 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი

გიორგი ამისულაშვილი

მთავარი ბუღალტერი

ქ.ღვნიანიძე

11 - 29 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „თბილისის პედიატრიული პრივატ კლინიკა“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

აქტივები	შენიშვნა	31.12.2020	31.12.2019
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	9	8,089,270	8,549,690
არამატერიალური აქტივები	10	13,000	14,880
სულ გრძელვადიანი აქტივები		8,102,270	8,564,570
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	11	194,832	182,385
გაცემული სესხები		-	-
საგადასახადო აქტივი	12	48,738	56,515
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13	1,525,871	2,644,428
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები	14	2,276,521	1,099,789
სულ მიმდინარე აქტივები		4,045,962	3,983,118
სულ აქტივები		12,148,232	12,547,687
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		642,920	642,920
გაუნაწილებელი მოგება		11,022,091	11,408,568
სულ კაპიტალი:		11,665,011	12,051,488
მიმდინარე ვალდებულებები			
გადასახდელი ხელფასები		166,104	245,570
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15	317,118	250,630
სულ მიმდინარე ვალდებულებები		483,221	496,199
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		12,148,233	12,547,687

11 - 29 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „თბილისის პედიატრიული პრივატ კლინიკა“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
2019 წლის 1 იანვარი	642,920	9,900,855	10,543,775
წლის სრული შემოსავალი	-	3,007,713	3,007,713
გამოცხადებული დივიდენდი	-	(1,500,000)	(1,500,000)
2019 წლის 31 დეკემბერი	642,920	11,408,568	12,051,488
წლის სრული შემოსავალი	-	1,642,382	1,642,382
გამოცხადებული დივიდენდი	-	(2,028,858)	(2,028,858)
2020 წლის 31 დეკემბერი	642,920	11,022,091	11,665,011

11 - 29 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „თბილისის პედიატრიული პრივატ კლინიკა“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

	შენიშვნა	2020	2019
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება დაბეგვრამდე		1,642,382	3,007,713
კორექტირებები:			
ცვეთა	9,10	495,968	454,596
საპროცენტო შემოსავალი	7	(101,622)	(70,148)
საშემოსავლო გადასახადის შეღავათიდან მიღებული შემოსავალი		(107,639)	-
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული ზარალი	6	84,447	-
კურსთაშორის სხვაობისგან მიღებული ზარალი/მოგება		(26,939)	(2,806)
ფულადი ნაკადები საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე		1,986,598	3,389,356
მარაგების ზრდა/შემცირება		(12,447)	78,721
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა/შემცირება		1,118,557	(260,329)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა/შემცირება		(12,978)	(510,297)
საგადასახადო აქტივების ზრდა/შემცირება		7,777	(7,246)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		3,087,507	2,690,204
გადახდილი დივიდენდი		(2,028,858)	(1,500,000)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		1,058,649	1,190,204
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(487,195)	(554,465)
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია		476,717	-
მიღებული პროცენტები		101,622	70,148
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		91,144	(484,317)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
სესხის დაფარვა		-	-
სესხის მიღება		-	-
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		-	-
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/შემცირება		1,149,793	705,887
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში		1,099,789	391,096
სავალუტო კურსის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		26,939	2,806
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	14	2,276,521	1,099,789

შპს „თბილისის პედიატრიული პრივატ კლინიკა“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს თბილისის პედიატრიული პრივატ კლინიკა (ყოფილი შპს თბილისის მ. გურამიშვილის სახელობის პედიატრიული კლინიკა) პრივატიზებულია და წარმოადგენს კერძო სამართლის სუბიექტს. კლინიკის პრივატიზება ჩატარდა (სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ საქართველოს კანონის, საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 24 ოქტომბრის #598 ბრძანებულების, საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 2000 წლის 17 მაისის 1-3/320 ბრძანების, საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის #305 განკარგულების საფუძველზე) 2011 წლის 02 ივნისს. 2013 წლის 2 დეკემბერს კლინიკას ეწოდა შპს თბილისის პედიატრიული პრივატ კლინიკა.

კლინიკა წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელსაც ხელმძღვანელობს და მართავს გენერალური დირექტორი. კლინიკა საქმიანობას ეწევა საქართველოს კანონმდებლობისა და კომპანიის წესდების შესაბამისად.

2020 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი და მაკონტროლებელი პირია შპს „აკადემიკოს ო.ლუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრი“. კომპანიას არ ჰყავს შვილობილი საწარმო.

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ნაძალადევის რაიონი, თემქა, მე-11 მ/რ, 1 კვ.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ.

2.1 მომზადების და შეფასების საფუძვლები

მოცემული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანობაში ფასს-ები) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანიის საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაფერისია კომპანიისათვის.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გარდა ძირითადი საშუალებების მუხლის ნაწილისა. კომპანიამ 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მიწისა და შენობების ჯგუფი შეაფასა რეალური ღირებულებით ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, რომლის კორექტირებული ღირებულება 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით გამოიყენა როგორც დასაშვები ღირებულება. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

2.2 ახალი ფასს-ების მიღება, ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში

2020 წლის პირველი იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები, და შესწორებები:

- საწარმოს განმარტება – ცვლილებები ფასს 3-ში - გამოცემულია 2018 წლის 22 ოქტომბერს, ძალაში შევიდა 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის;
- ცვლილებები ფინანსური ანგარიშგების წარდგენის კონცეპტუალურ საფუძვლებში - გამოცემულია 2018 წლის 29 მარტს, ძალაში შევიდა 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული

შპს „თბილისის პედიატრიული პრივატ კლინიკა“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

წლიური პერიოდებისთვის;

- არსებითობის განმარტება – ცვლილებები ასს 1-სა და ასს 8 - გამოცემულია 2018 წლის 31 ოქტომბერს, ძალაში შევიდა 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის;
- COVID-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობა (ფასს 16-ის ცვლილებები) - გამოიცა 2020 წლის 28 მაისს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2020 წლის 1 ივნისს ან მის შემდეგ.

არც ერთ ახალ სტანდარტს, ინერპრეტაციას ან შესწორებას, რომელიც ეფექტურია 2020 წლის 1 იანვრიდან არ ჰქონია ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი გავლენა.

ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელთა მიღება სავალდებულოა 2021 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული პერიოდებისთვის და რომლებიც კომპანიამ ნაადრევად არ შემოიღო არის შემდეგი:

- საპროცენტო განაკვეთის ათვლის წერტილის - IBOR მეორე ფაზა - (შესწორება - ფასს 9, ბასს 39, ფასს 7, ფასს 4 და ფასს 16-სთვის);

2022 წლის 1 იანვრიდან ძალაში შედის შემდეგი შესწორებები:

- ცვლილებები ბასს 1-ში - ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიან და გრძელვადიან ვალდებულებებად;
- წამგებიანი ხელშეკრულებები – ხელშეკრულების შესრულების ღირებულება (ბასს 37-ის ცვლილებები);
- ძირითადი საშუალებები: შემოსავალი მიზნობრივ გამოყენებამდე (ბასს 16-ის ცვლილებები);
- ფასს სტანდარტების წლიური გაუმჯობესება 2018-2020 (ფასს 1-ის, ფასს 9-ის, ფასს 16-ის და ბასს 41-ის შესწორებები);
- კონცეპტუალური მიდგომა (ფასს 3-ის შესწორებები).

ცვლილებები ბასს 1-ში - ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიან და გრძელვადიან ვალდებულებებად. გამოცემულია 2020 წლის 23 იანვარს, ძალაში შედის 2022 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ცვლილებებით განმარტებულია, რომ ვალდებულებები კლასიფიცირდება მოკლევადიან ან გრძელვადიან ვალდებულებებად, რაც დამოკიდებულია იმ უფლებებზე, რომლებიც არსებობს საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს. ვალდებულება გრძელვადიანია, როდესაც საწარმოს საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს აქვს არსებითი უფლება, რომ ვალდებულების დაფარვა გადაავადოს სულ მცირე თორმეტი თვით. სახელმძღვანელო მითითებებით აღარ მოითხოვება, რომ მსგავსი უფლება იყოს უპირობო. ხელმძღვანელობის მოლოდინი იმის თაობაზე, საბოლოოდ გამოიყენებენ თუ არა ანგარიშსწორების გადავადების უფლებას, გავლენას არ ახდენს ვალდებულებების კლასიფიკაციაზე. გადავადების უფლება არსებობს მხოლოდ მაშინ, როდესაც საწარმო ყველა შესაბამის პირობას აკმაყოფილებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ვალდებულება კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი ვალდებულება, თუ რომელიმე პირობა დაირღვევა საანგარიშგებო თარიღით ან მანამდე, თუნდაც ამ პირობაზე უარი მომდინარეობდეს გამსესხებლისგან, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ.

ამასთან, ცვლილებები მოიცავს იმ ვალის კლასიფიკაციის მოთხოვნების განმარტებას, რომელიც კომპანიამ შეიძლება დაფაროს მისი კაპიტალში კონვერტირებით. დაფარვა განმარტებულია, როგორც ვალდებულების აღმოფხვრა ფულადი სახსრებით, სხვა რესურსებით, რომლებშიც ეკონომიკური სარგებელია განივთებული, ან საწარმოს საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტებით. გამოხატვისი არსებობს კონვერტირებადი ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც შეიძლება კაპიტალში კონვერტირდეს, თუმცა მხოლოდ იმ ინსტრუმენტებისთვის, რომელთა კონვერსიის ოფციონი კლასიფიცირებულია წილობრივ ინსტრუმენტად, როგორც რთული ფინანსური ინსტრუმენტის ცალკე კომპონენტი. კომპანია ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

შესწორებები ბასს 1-ში - ვალდებულებების კლასიფიკაცია გრძელვადიანად და მოკლევადიანად, ძალაში შესვლის თარიღის გადავადება. გამოცემულია 2020 წლის 15 ივლისს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის იანვრიდან ან მის შემდეგ. ეს ბასს 1-ის შესწორება

შპს „თბილისის პედიატრიული პრივატ კლინიკა“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

ვალდებულებების გრძელვადიანად და მოკლევადიანად კლასიფიცირებაზე, გამოცემულია 2020 წლის იანვარში, თავდაპირველი ძალაში შესვლის თარიღით - 2022 წლის 1 იანვარი. თუმცა, COVID -19 პანდემიის საპასუხოდ, ძალაში შესვლის თარიღი გადავადდა ერთი წლით, რათა კომპანიებს მიეცეთ მეტი დრო, განახორციელონ კლასიფიკაციის ცვლილებები, შესწორებული სახელმძღვანელო მითითებების მიხედვით. კომპანია ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ცვლილებები ფასს 10-ში და ბასს 28-ში - ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საქმიანობას შორის აქტივების გაყიდვა ან შეტანა. გამოცემულია 2014 წლის 11 სექტემბერს, ძალაში შედის ბასს-ის (ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭო) მიერ დადგენილი თარიღით ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. ეს ცვლილებები ეხება ფასს 10-ისა და ბასს 28-ის მოთხოვნებს შორის შეუსაბამობას ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საქმიანობას შორის აქტივების გაყიდვასთან ან შეტანასთან დაკავშირებით. ამ ცვლილებების ძირითადი შედეგია სრული შემოსავლის ან ზარალის აღიარება, როდესაც ოპერაცია ბიზნესს ეხება. შემოსულობა ან ზარალი ნაწილობრივ აღიარდება, როდესაც ოპერაცია ეხება აქტივებს, რომელიც ბიზნესს არ წარმოადგენს, თუნდაც ამ აქტივებს შვილობილი საწარმო ფლობდეს. ამჟამად კომპანია ახორციელებს თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე ამ ცვლილებების გავლენის შეფასებას.

კომპანია არ ელოდება, რომ ზემოთ ხსენებულ და გამოცემულ სხვა სტანდარტებს, რომლებიც ჯერ კიდევ არ არის ძალაში შესული, მნიშვნელოვანი გავლენა ექნება კომპანიის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

2.3 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში შეფასების და წარსადგენის ვალუტა

ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

ოპერაციები შეფასების ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში განიხილება, როგორც ოპერაცია უცხოურ ვალუტაში და აღირიცხება ბასს 21-ს „სავალუტო კურსების ცვლილებათა გავლენა“ მოთხოვნის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაზე.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. კურსთაშორის სხვაობიდან წარმოქმნილი მოგება და ზარალი ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია მუხლში - „კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება, ნეტო“.

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2020 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი იყო შემდეგი:

	31.12.2020	31.12.2019
ლარი/1 აშშ დოლარი	3.2766	2.8677
ლარი/1 ევრო	4.0233	3.2095

2.4 ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებს მაშინ, როდესაც ხდება ინსტრუმენტთან დაკავშირებული სახელშეკრულებო ვალდებულების მხარე. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები თავდაპირველად ფასდება რეალური ღირებულებით.

გარიგების დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ განეკუთვნება ფინანსური აქტივების ან ფინანსური

ვალდებულებების შეძენას ან გამოშვებას (მოგებაში ან ზარალში რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების გარდა), პირველადი აღიარებისას, ემატება ან აკლდება ფინანსური აქტივებისა თუ ფინანსური ვალდებულებების რეალურ ღირებულებას.

გარიგების დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ განეკუთვნება მოგებაში ან ზარალში რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების შეძენას ან გამოშვებას, მაშინვე არის აღირებული მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივები

კომპანია ფინანსურ აქტივებს ყოფს შემდეგ კატეგორიებად შემენილი აქტივის ხასიათისა და მიზნობრიობიდან გამომდინარე:

- სესხები და მოთხოვნები;
- დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები;
- რეალური ღირებულებით აღრიცხული, მოგებაში ან ზარალში ასახვით;
- გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები.

ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიის ფინანსური აქტივები წარმოდგენილია გაცემული სესხებით, სავაჭრო და სხვა მოთხოვნებით და ფული და ფულის ეკვივალენტებით. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულსა და ფულს მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

აღნიშნული აქტივები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, რომლებსაც გააჩნიათ ფიქსირებული ან განსაზღვრული გადასახდელები და აქტიურ ბაზარზე მათი ფასი კოტირებული არ არის. ასეთი ტიპის ფინანსური აქტივები, როგორც წესი, წარმოიშობა მომხმარებელთათვის საქონლის მიწოდებისა და მომსახურების გაწევის, ან სესხების გაცემის დროს, მაგრამ მოიცავს ასევე სხვა ტიპის საკონტრაქტო მონეტარულ აქტივებსაც. სესხებისა და მოთხოვნების თავდაპირველი აღიარება ხდება რეალურ ღირებულებას დამატებული გარიგების დანახარჯები, რომელიც წარმოადგენს ფინანსური აქტივის შესყიდვის, ემისიის ან რეალიზაციის პირდაპირ დანახარჯებს, ხოლო შემდგომი აღიარება ხდება გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს ფინანსური აქტივები ფასდება შესაძლო გაუფასურების ნიშნების აღმოსაჩენად. ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივის პირველადი აღიარების შემდეგ მოვლენამ/მოვლენებმა გავლენა მოახდინა ინვესტიციიდან მოსალოდნელ სამომავლო ფულად ნაკადებზე. გაუფასურების რეზერვის თანხა არის სხვაობა გაუფასურებულ მოთხოვნებთან დაკავშირებული მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე და საბალანსო ღირებულებებს შორის.

მოთხოვნებისა და გაცემული სესხების კატეგორიისთვის, რომლებიც წმინდა ღირებულებით არის წარმოდგენილი ფინანსურ ანგარიშგებაში ასეთი რეზერვები აისახება ცალკე მუხლად, ხოლო შესაბამისი ზარალი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნებისა და გაცემული სესხების ამოღება შეუძლებელია, აქტივის მთლიანი ღირებულება მცირდება შესაბამისი რეზერვით.

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (ი) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან (იი) კომპანია არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები

კომპანია ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს ორ სახეობად, გამომდინარე მათი ხასიათიდან:

- რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულება, მოგებაში ან ზარალში ასახვით
- სხვა ფინანსური ვალდებულებები

ინდივიდუალურ ფინანსურ ინფორმაციაში კომპანიის ფინანსური ვალდებულებები წარმოდგენილია მიღებული სესხებით და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებით. ამგვარი ტიპის ვალდებულებების აღიარება ხდება რეალური ღირებულებით, პირდაპირ დაკავშირებული ტრანზაქციის ღირებულების გათვალისწინებით.

საწყისი აღიარების შემდეგ ფინანსური ვალდებულებები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ერთმანეთში გადაიხურება და ფინანსურ ანგარიშგებებში წარდება ნეტო თანხით, მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს შესაბამისი იურიდიული უფლება და სურვილი აღნიშნული თანხების ურთიერთგადახურვისთვის.

2.5 სამედიცინო შემოსავლები

სამედიცინო მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან კომპანია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა.

სამედიცინო შემოსავლები წარდგენილია კორექტირების, ფასდაკლებების გათვალისწინებით.

კომპანიას სამედიცინო შემოსავლები მოიცავს სადაზღვევო კომპანიებიდან, სახელმწიფოდან და ფიზიკური პირებიდან მიღებულ შემოსავლებს.

სადაზღვევო კომპანიები - კომპანია აღიარებს შემოსავლებს ფიზიკური პირებიდან, რომლებიც დაზღვევულები არიან სხვადასხვა სადაზღვევო კომპანიაში. შემოსავლების აღიარება ხდება სამედიცინო მომსახურების დასრულების და სადაზღვევო კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულების პირობების საფუძველზე.

სახელმწიფო - კომპანია აღიარებს შემოსავლებს ფიზიკური პირებიდან, რომლებიც დაზღვევულები არიან სახელმწიფო პროგრამით. შემოსავლების აღიარება ხდება სამედიცინო მომსახურების დასრულების და სახელმწიფოსთან შეთანხმებული პირობების საფუძველზე.

ფიზიკური პირები - კომპანია აღიარებს შემოსავლებს დაუზღვეველი ფიზიკური პირებიდან, სამედიცინო მომსახურების დასრულების და კომპანიის მიერ დადგენილი ფასების საფუძველზე. შემოსავლების მიღება ძირითადად ხდება ნაღდი ფულით ან საკრედიტო ბარათებით.

2.6 საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი

საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აისახება ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით დისკონტირდება მომავალში მისაღები სავარაუდო ფულადი სახსრები (ყველა მიღებული საკომისიოს, გარიგებების ხარჯებისა და სხვა ფასნამატებისა და დისკონტირების ჩათვლით) ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულების მოკლე პერიოდის განმავლობაში. საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

2.7 სხვა შემოსავალი

სამედიცინო მომსახურებიდან მიღებული და საპროცენტო შემოსავლების გარდა, სხვა შემოსავლების აღიარება ხდება, როდესაც არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ შეფასება.

2.8 ხარჯები

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარ არის მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

2.9 საოპერაციო იჯარა

კომპანია როგორც მეთიჯარე - საოპერაციო იჯარიდან შემოსავლის აღიარება ხდება შესაბამისი იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით. საოპერაციო იჯარის პირობებზე მოლაპარაკებისას გაწეული თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები საიჯარო აქტივების საბალანსო ღირებულებას ემატება და მისი აღიარება ხდება იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით.

კომპანია როგორც მოიჯარე - საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას. საოპერაციო იჯარიდან წარმომდგარი პირობითი საიჯარო გადასახადის აღიარება ხდება ხარჯის სახით იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გაიწია.

2.10 გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადი

მიმდინარე საგადასახადო დავალიანება ეყრდნობა წლის დასაბეგრ მოგებას, რომელიც იანგარიშება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. დასაბეგრი მოგება განსხვავდება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში გაცხადებული მოგებისგან, იმ შემოსავლის ან ხარჯების მუხლების გამო, რომლებიც დასაბეგრი ან გამოსაქვითია სხვა წლებში და აგრეთვე იმ მუხლების გამო, რომლებიც არ იბეგრება ან იქვითება. კომპანიის მიმდინარე საგადასახადო დავალიანება იანგარიშება საგადასახადო განაკვეთების გამოყენებით, რომლებიც ძალაშია ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის.

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ძალაში შევიდა მოგების გადასახადის ახალი მოდელი. მოგების გადასახადის ახალი მოდელის თანახმად მოგების გადასახადით დაბეგვრის საგანს წარმოადგენს:

- დივიდენდების გაცემა;
- სხვაობა ხელშეკრულების თანხასა და რეალურ ღირებულებას შორის;
- ხარჯები, რომლებიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას;
- უსასყიდლოდ გადაცემები და საჩუქრები;
- ლიმიტს ზემოთ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები;

საქართველოს საგადასახადო სისტემაში ცვლილებების სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდებისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს და 2019 წლის 31 დეკემბერს, საქართველოში რეგისტრირებული კონპანიებისთვის აქტივებს და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების წარმოქმნა.

გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

2.11 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით, გარდა ძირითადი საშუალებების მუხლში შემავალი შენობების და მიწის ჯგუფისა.

კომპანიამ მიწისა და შენობების კომპანია შეაფასა რეალური ღირებულებით ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და აღნიშნული ღირებულება გამოიყენა როგორც დასაშვები ღირებულება 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს,

შპს „თბილისის პედიატრიული პრივატ კლინიკა“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის. კომპანიის საკუთრებაში არსებულ მიწას ცვეთა არ ერიცხევა.

სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი მიმოიხილება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალებების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარ აქტივთა კომპონენტები აღირიცხება ინდივიდუალურად.

ძირითადი საშუალებების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოადგენილია შემდეგნაირად:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
შენობები	50
სამედიცინო დანადგარები და მოწყობილობები	7-20
აღჭურვილობა და ინვენტარი	3-20
სატრანსპორტო საშუალებები	5-10
სხვა	12-28
მიწა	არ ერიცხება ცვეთა

ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღნიშნული თანხა უნდა აღირიცხოს სხვა აქტივის საბალანსო ღირებულებაში.

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით და ჩაირთვება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

2.12 მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება, გარდა გუდვილისა

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საწარმო მიმოიხილავს მატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებას რათა განსაზღვროს, არსებობს თუ არა მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. ასეთის არსებობის შემთხვევაში, კომპანია ახორციელებს აქტივების ანაზღაურებადი ღირებულების შეფასებას. თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შეფასება, კომპანია განსაზღვრავს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც განეკუთვნება მოცემული აქტივი. აქტივის ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული წარმოადგენს აქტივების უმცირეს ჯგუფს, რომელიც მოიცავს მოცემულ აქტივს და წარმოქმნის ფულად სახსრებს უწყვეტი გამოყენების შედეგად, რომელთა მიღება, უმეტესწილად, დამოკიდებული არ არის სხვა აქტივებიდან ან აქტივთა ჯგუფებიდან ფულადი სახსრების მიღებაზე.

აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება წარმოადგენს გასვლის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდეს თანხას. აქტივის გამოყენების ღირებულება არის აქტივიდან ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულიდან მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულება.

აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება უნდა შემცირდეს მის ანაზღაურებად ღირებულებამდე იმ შემთხვევაში, თუ მოცემული აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე.

შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება ხარჯის სახით მოგება-ზარალის ან სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია განსაზღვრავს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი, რომლის მიხედვით წინა წლებში აღიარებული აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) გაუფასურების ზარალი შესაძლოა აღარ არსებობდეს ან შემცირებული იყოს. მისი არსებობის შემთხვევაში, კომპანია აფასებს მოცემული აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებად ღირებულებას. გაუფასურების ზარალის კომპენსირების შემთხვევაში იზრდება აქტივის (ფულადის სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება, მაგრამ არაუმეტეს იმ საბალანსო ღირებულებისა, რომელიც მიღებული იქნებოდა წინა წლებში გაუფასურების ზარალის აღიარება რომ არ მომხდარიყო.

2.13 მარაგები

კომპანიის მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის.

მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

კომპანიის მარაგების ძირითადი ნაწილი მოიცავს სამედიცინო მედიკამენტებს და სახარჯ მასალებს. კომპანიის ბალანსზე არსებული ყველა სახის მარაგის ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი ღირებულების ჩამოწერის მეთოდით.

2.14 საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

2.15 ბალანსის შედგენის თარიღის შემგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

2.16 ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში მოსალოდნელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით

შპს „თბილისის პედიატრიული პრივატ კლინიკა“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

განუსაზღვრელობებთან. ჯგუფში ანარიცხი აღიარდება, როდესაც კომპანიას აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვალეობის შედეგად და სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა, რომლის თანხის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია.

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან.

ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია:

ა) ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებებზე, თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივის გამოყენებიდან შემოსავლების მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილება გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

ბ) რეალური ღირებულების გამოყენება ძირითადი საშუალებების დასაშვები ღირებულების განსაზღვრად

არასრული ისტორიული სააღრიცხვო ჩანაწერების გამო კომპანიამ ვერ შეძლო შენობის და მიწის კომპანიის ისტორიული ღირებულების განსაზღვრა. ფასს 1-ის თანახმად, კომპანიას უფლება აქვს ფასს-ებზე გადავლის თარიღისთვის ძირითადი საშუალებების ღირებულება განსაზღვროს რეალური ღირებულებით და გამოიყენოს იგი როგორც აქტივების დასაშვები ღირებულება (ფასს 1.16). კომპანია იყენებს აღნიშნულ შეღავათს 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მიწის და შენობის დასაშვები ღირებულების განსაზღვრად.

4. შემოსავლები სამედიცინო მომსახურებიდან

შემოსავალი სამედიცინო მომსახურებიდან დაფინანსების სახეების მიხედვით 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
შემოსავალი საყოველთაო დაზღვევიდან	4,870,565	6,489,076
შემოსავლები პაციენტებისგან	515,048	777,711
სულ	5,385,613	7,266,786

5. სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
უსასყიდლოდ მიღებული პროდუქცია	124,282	58,131
შემოსავალი იჯარიდან	1,000	2,200
სხვა შემოსავალი	150,966	108,193
სულ	276,248	168,524

შპს „თბილისის პედიატრიული პრივატ კლინიკა“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

6. სხვა ხარჯები

სხვა ხარჯები 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
კომუნალური გადასახადები	(155,924)	(158,237)
უიმედო მოთხოვნის ჩამოწერა	(12,443)	(53,427)
სამედიცინო მომსახურება	(21,825)	(21,950)
ოფისის ხარჯი	(27,354)	(18,626)
რემონტი და ტერიტორიის კეთილმოწყობა	(177,049)	(3,139)
ბანკის საკომისიო	(321)	(2,387)
სატრანსპორტო საშუალების მოვლა	(17,285)	(10,226)
სხვა	(123,226)	(168,318)
სულ:	(535,428)	(436,310)

7. ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი), ნეტო

ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი), 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური შემოსავალი	2020	2019
საპროცენტო შემოსავალი	101,622	70,148
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება	26,939	2,806
საშემოსავლო გადასახადის შეღავათიდან მიღებული შემოსავალი	107,639	-
სულ ფინანსური შემოსავალი:	236,199	72,954

ფინანსური ხარჯი

საპროცენტო ხარჯი	-	-
სულ ფინანსური ხარჯი:	-	-
სულ ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი) ნეტო	236,199	72,954

8. მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ძალაში შევიდა მოგების გადასახადის ახალი მოდელი. ამ საგადასახადო მოდელის მიზანია გაამარტივოს გადასახადის ადმინისტრირება და ხელი შეუწყოს ბიზნესის განვითარებასა და ეკონომიკურ ზრდას. 2020 და 2019 წლებში აღიარებული მოგების გადასახადის ხარჯი წარმოიქმნება ზემოაღნიშნული მოდელის საფუძველზე გაცემული დივიდენდის დაბეგვრით. საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს და 2019 წლის 31 დეკემბერს, საქართველოში რეგისტრირებული კონპანიებისთვის აქტივებს და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

შპს „თბილისის პედიატრიული პრივატ კლინიკა“
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

9. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2020 წლის 31 დეკემბრის, 2019 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	მიწა	შენობა- ნაგებობები	სამედიცინო დანადგარები და მოწყობილობები	აღჭურვილობა და ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა	სულ
ბალანსი 2019 წლის 1 იანვარი	2,779,140	3,183,454	2,938,256	563,923	543,776	3,520	10,012,068
შემოსვლა	-	215,160	2,419	47,054	340,200	-	604,833
გასვლა	-	-	-	-	(70,824)	(1,320)	(72,144)
ბალანსი 2019 წლის 31 დეკემბერი	2,779,140	3,398,614	2,940,675	610,977	813,151	2,200	10,544,757
შემოსვლა		34,725	513,838	13,913	37,200		599,676
გასვლა				(5,205)	(736,845)		(742,050)
ბალანსი 2020 წლის 31 დეკემბერი	2,779,140	3,433,339	3,454,513	619,685	113,506	2,200	10,402,383
ბალანსი 2019 წლის 1 იანვარი	-	(127,338)	(1,083,671)	(247,032)	(105,561)	(526)	(1,564,127)
წლის განმავლობაში დარიცხული ცვეთა	-	(63,669)	(285,157)	(53,760)	(50,130)	-	(452,716)
გასული ძირითადი საშუალების ცვეთა	-	-	-	-	21,776	-	21,776
ბალანსი 2019 წლის 31 დეკემბერი	-	(191,007)	(1,368,828)	(300,792)	(133,915)	(526)	(1,995,068)
წლის განმავლობაში დარიცხული ცვეთა	-	(67,972)	(296,661)	(55,445)	(73,569)	(440)	(494,088)
გასული ძირითადი საშუალების ცვეთა	-	-	-	362	175,681	-	176,043
ბალანსი 2020 წლის 31 დეკემბერი	-	(258,979)	(1,665,490)	(355,875)	(31,803)	(966)	(2,313,113)
წმინდა საბალანსო ღირებულება							
ბალანსი 2019 წლის 1 იანვარი	2,779,140	3,056,116	1,854,585	316,891	438,215	2,994	8,447,941
ბალანსი 2019 წლის 31 დეკემბერი	2,779,140	3,207,607	1,571,846	310,186	679,236	1,674	8,549,690
ბალანსი 2020 წლის 31 დეკემბერი	2,779,140	3,174,359	1,789,023	263,810	81,703	1,234	8,089,270

შპს „თბილისის პედიატრიული პრივატ კლინიკა“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

ფას-ებზე გადასვლის თარიღისთვის კომპანიამ ძირითადი საშუალებების ნაწილი - მიწა და შენობები შეაფასა რეალური ღირებულებით და რეალური ღირებულება გამოიყენა, როგორც დასაშვები ღირებულება 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. დასაშვებ ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა განმარტებულია მე-2 შენიშვნაში. შეფასება განხორციელდა დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ, რომელსაც აქვთ შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაცია და გამოცდილება მსგავსი აქტივების შეფასებაში. ძირითადი საშუალებების შეფასება განხორციელდა რეალური ღირებულების განსაზღვრის იერარქიაში მე-3 დონის ინფორმაციის საფუძველზე, კერძოდ, მიწის და შენობის შეფასება მოხდა საბაზრო მეთოდის გამოყენებით, რადგან შეფასების თარიღისთვის არსებობდა საკმარისი რაოდენობის რეგისტრირებული გაყიდვების და შეთავაზებების შესახებ ინფორმაცია. შეფასების პროცესში შემფასებლებმა გამოიყენეს ანალოგები, რომელთა ღირებულებების კორექტირება მოხდა შესაფასებელ ობიექტებსა და ანალოგებს შორის განსხვავებების გათვალისწინების მიზნით.

10. არამატერიალური აქტივები

კომპანიის არამატერიალური აქტივები მოიცავს საბუღალტრო პროგრამა ორის მენეჯერის და კოდექსის სისტემის ლიცენზიებს, რომელთა ისტორიული ღირებულება ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია 18,802 ლარით, ხოლო დაგროვილი ცვეთა კი 5,802 და 3,922 ლარის შესაბამისად. არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ხარჯი 2020 და 2019 წლების საანგარიშგებო პერიოდის თითოეულ წელს შეადგენს 1,880 ლარს.

11. მარაგები

მარაგები 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2020	31.12.2019
სამედიცინო მედიკამენტები	56,800	69,631
სამედიცინო სახარჯი მასალები	58,887	95,430
სარემონტო მასალები	9,364	-
სამეურნეო მარაგები	69,647	15,611
საწვავი	134	1,713
სულ:	194,832	182,385

12. საგადასახადო აქტივი

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის 1 იანვრიდან, საგადასახადოების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშიდან საგადასახადოებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად 2020 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს ნეტო საფუძველზე 48,738 და 56,515 ლარის, როგორც საგადასახადო აქტივების, შესაბამისად.

13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2020	31.12.2019
ფინანსური მოთხოვნები		
სავაჭრო მოთხოვნები	1,880,084	2,881,411
საექვო ვალების რეზერვი	(369,671)	(389,883)
სულ ფინანსური მოთხოვნები	1,510,413	2,491,528
არაფინანსური მოთხოვნები		
გადახდილი ავანსები	15,458	152,900
სულ არაფინანსური მოთხოვნები	15,458	152,900
სულ მოთხოვნები	1,525,871	2,644,428

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას.

დამატებითი ინფორმაცია სავაჭრო და სხვა მოთხოვნების შესახებ იხილეთ მე-16 შენიშვნაში.

14. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2020	31.12.2019
ფულადი სახსრები საბანკო ანგარიშზე უცხოურ ვალუტაში	386,192	45,122
ფულადი სახსრები საბანკო ანგარიშზე ეროვნულ ვალუტაში	1,877,690	1,035,746
ნაღდი ფული	12,640	18,921
სულ:	2,276,521	1,099,789

ფული და ფულის ეკვივალენტების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას.

დამატებითი ინფორმაცია ფული და ფულის ეკვივალენტების შესახებ იხილეთ მე-16 შენიშვნაში.

15. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2020	31.12.2019
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	317,118	257,667
სახელფასო ვალდებულებები	166,104	238,534
სულ ფინანსური ვალდებულებები	483,221	496,200
არაფინანსური ვალდებულებები		
მიღებული ავანსები	-	-
სულ არაფინანსური ვალდებულებები	-	-
სულ:	483,221	496,200

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას.

დამატებითი ინფორმაცია სავაჭრო და სხვა ვალდებულებების შესახებ იხილეთ მე-16 შენიშვნაში.

16. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

კომპანიის ოპერაციებისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია:

- საკრედიტო რისკი
- საპროცენტი რისკი
- სავალუტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი

კომპანია საოპერაციო საქმიანობის ნაწილში დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილი რისკების წინაშე. ეს განმარტებითი შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკებსა და პროცედურებს რისკების მართვისათვის და რისკების შეფასების მეთოდებს. ამ რისკებთან დაკავშირებული დამატებითი რაოდენობრივი ინფორმაცია წარმოდგენილია სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ინფორმაციაში.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები 2020 წლის 31 დეკემბრის, 2019 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2020	31.12.2019	01.01.2019
ფინანსური აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,510,413	2,491,528	2,263,984
ფული და ფულის ექვივალენტები	2,276,521	1,099,789	391,096
გაცემული სესხები	-	-	-
სულ ფინანსური აქტივები:	3,786,934	3,591,318	2,655,080
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	483,221	496,200	1,006,496
სულ ფინანსური ვალდებულებები	483,221	496,200	1,006,496

ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

რეალური ღირებულება არის საფასური, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდება ვალდებულების გადასაცემად ორგანიზებულ ოპერაციაში საბაზრო მონაწილეებს შორის შეფასების დღეს, ან ასეთის არ არსებობის შემთხვევაში იმ ბაზრის მიხედვით რომელზეც აქვს წვდომა კომპანიას და ყველაზე ხელსაყრელია მოცემული თარიღისათვის. როცა შესაძლებელია, ინსტრუმენტის რეალურ ღირებულებას კომპანია განსაზღვრავს მოცემული ინსტრუმენტის მოქმედ ბაზარზე კოტირებული ფასით. ბაზარი მოქმედად ითვლება, თუ აქტივებისა და ვალდებულებების ოპერაციები მიმდინარეობს საკმარისი სიხშირითა და მოცულობით, რათა უზრუნველყოს ინფორმაცია ფასების თაობაზე მუდმივ რეჟიმში.

თუ მოქმედ ბაზარზე არ არსებობს კოტირებული ფასი, კომპანია რეალურ ღირებულებას განსაზღვრავს შეფასების მეთოდების გამოყენებით. შერჩეული შეფასების მეთოდი მაქსიმალურად იყენებს დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს, მინიმალურად ეყრდნობა არასაბაზრო მონაცემებს და ითვალისწინებს ყველა იმ ფაქტორს, რომლებსაც ბაზრის მონაწილეები ფასის დადგენისას მიიღებდნენ მხედველობაში. თავდაპირველი აღიარებისას ამა თუ იმ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულება არის გარიგების ფასი, ანუ გადახდილი ან მიღებული საკომპენსაციო თანხის რეალური ღირებულება.

თუ კომპანია გადაწყვეტს, რომ რეალური ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას განსხვავდება გარიგების ფასისგან და რეალური ღირებულება არ დასტურდება იდენტური აქტივის ან ვალდებულების მოქმედ ბაზარზე არსებული კოტირებული ფასით, ასევე, ეს ღირებულება არ ეფუძნება შეფასებას ისეთი მეთოდის საფუძველზე, რომლის ცვლადებიც მოიცავენ მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრების მონაცემებს, ასეთ შემთხვევაში ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად შეფასდება რეალური ღირებულებით, რომელიც დაკორექტირდება სხვაობით ამ ღირებულებასა და გარიგების ღირებულებას შორის. ნებისმიერი სხვაობა ამ ღირებულებასა და შეფასების მეთოდით მიღებულ თავდაპირველ ღირებულებას შორის მოგვიანებით სათანადო წესით აღიარდება მოგებაში ან ზარალში, ინსტრუმენტის სასიცოცხლო ვადის განმავლობაში, მაგრამ არაუგვიანეს იმ დროისა, როცა შეფასება მთლიანად ეყრდნობა დაკვირვებადი

16. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ბაზრის მონაცემებს ან როდესაც გარიგება დაიხურება.

კომპანია ადგენს რეალურ ღირებულებას შემდეგი იერარქიის გამოყენებით, რომელიც ასახავს შეფასების გაკეთებისას გამოყენებული მონაცემების მნიშვნელობას:

დონე 1: კოტირებული საბაზრო ფასი (კორექტირების გარეშე) მოქმედ ბაზარზე ანალოგიური ფინანსური ინსტრუმენტისთვის;

დონე 2: მონაცემები გარდა იმისა, რაც შედის პირველ დონეში და რომლებიც თვალსაჩინოა როგორც პირდაპირ (ფასები), ასევე ირიბად (ფასებისაგან წარმოებული). ეს კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომლებიც ფასდება შემდეგი მონაცემების გამოყენებით: მოქმედ ბაზრებზე კოტირებული საბაზრო ფასები მსგავსი ფინანსური ინსტრუმენტებისთვის; კოტირებული ფასები მსგავსი ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც ნაკლებად აქტიურად მიიჩნევა; ან შეფასების სხვა მეთოდები, რომლის ფარგლებშიც ყველა მნიშვნელოვანი მონაცემი არის პირდაპირ ან ირიბად თვალსაჩინო, საბაზრო მონაცემებიდან გამომდინარე;

დონე 3: არათვალსაჩინო მონაცემები. აღნიშნული კატეგორია მოიცავს ყველა ინსტრუმენტს, რომლის ფარგლებში შეფასების მეთოდიკა მოიცავს მონაცემებს, რომლებიც არ ეყრდნობიან თვალსაჩინო მონაცემებს და არათვალსაჩინო მონაცემები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ინსტრუმენტის შეფასებაზე. აღნიშნული კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომელთა შეფასება ხდება მსგავსი ინსტრუმენტებისთვის კოტირებული ფასების საფუძველზე, რომლის ფარგლებში მნიშვნელოვანი არათვალსაჩინო კორექტირებები ან დაშვებები საჭირო, რათა აისახოს სხვაობები ინსტრუმენტებს შორის.

რეალური ღირებულების შეფასება, რომელიც გამოყენებულია ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტებისთვის - გაცემული და მიღებული სესხები, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, სავაჭრო და სხვა ვალდებულებები მოხდა მე-2 და მე-3 იერარქიის საფუძველზე. აღნიშნული იერარქიებისთვის მოხდა დისკონტირებული ფულადი ნაკადების მეთოდის გამოყენებით. რეალური ღირებულების შეფასება არაკოტირებული ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტებისთვის მოხდა მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების საფუძველზე, რომელიც დადისკონტირებულია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთით, რომელიც დამახასიათებელია მსგავსი საკრედიტო რისკის და დაფარვის ვადის მქონე ახალი ფინანსური ინსტრუმენტისთვის. ბანკებისგან მიღებული სესხები დადისკონტირებულია კომპანიის საკუთარი საპროცენტო განაკვეთით, რომლითაც მიღებული აქვს ისინი. ფული და ფულის ეკვივალენტების რეალური ღირებულება შეფასებულია პირველი დონის მიხედვით. 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის არ მომხდარა ცვლილება მე-2 და მე-3 დონის შეფასების იერარქიისთვის გამოყენებულ შეფასების მეთოდოლოგიაში.

კაპიტალის მართვა

კომპანია თავის კაპიტალთან დაკავშირებულ რისკს მართავს იმისათვის, რომ უზრუნველყოს ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა და ამავდროულად დაინტერესებული მხარეების უკუგების მაქსიმიზაცია, მოზიდული და საკუთარი კაპიტალის ოპტიმალური ბალანსის დაცვის გზით. კომპანიის მენეჯმენტი რეგულარულად მიმოიხილავს კაპიტალის სტრუქტურას.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის. კომპანიის მენეჯმენტი ღებულობს ყოველთვიურ ანგარიშგებას კომპანიის ფინანსური მხარისგან, მიმოიხილავს თავიანთი დასახული მიზნებისა და პოლიტიკის შესრულებისათვის განხორციელებული პროცესების ეფექტურობას.

კომპანიის მენეჯმენტის მთავარი მიზანი არის დაიცვას კომპანია რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მას მიაღწიოს საქმიანობის მიზანს. აღნიშნულ პოლიტიკასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ:

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას გააჩნია უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გარკვეული ოპერაციები. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის მართვისთვის.

შპს „თბილისის პედიატრიული პრივატ კლინიკა“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

16. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ლარი	ევრო	დოლარი	31.12.2020
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,890,330	375,733	10,458	2,276,522
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,510,413	-	-	1,510,413
გაცემული სესხები	-	-	-	-
სულ ფინანსური აქტივები	3,400,743	375,733	10,458	3,786,934
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	483,221	-	-	483,221
სულ ფინანსური ვალდებულებები	483,221	-	-	483,221
საბალანსო პოზიცია	2,917,522	375,733	10,458	

უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ლარი	ევრო	დოლარი	31.12.2019
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,054,667	35,957	9,165	1,099,789
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,491,528	-	-	2,491,528
გაცემული სესხები	-	-	-	-
სულ ფინანსური აქტივები	3,546,196	35,957	9,165	3,591,318
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	496,200	-	-	496,200
სულ ფინანსური ვალდებულებები	496,200	-	-	496,200
საბალანსო პოზიცია	3,049,995	35,957	9,165	

უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ლარი	ევრო	დოლარი	01.01.2019
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	388,972	2,124	-	391,096
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,263,984	-	-	2,263,984
გაცემული სესხები	-	-	-	-
სულ ფინანსური აქტივები	2,652,956	2,124	-	2,655,080
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,006,496	-	-	1,006,496
სულ ფინანსური ვალდებულებები	1,006,496	-	-	1,006,496
საბალანსო პოზიცია	1,646,460	2,124	-	

16. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს კომპანიის მგრძნობელობას შესაბამისი უცხოური ვალუტების ლართან მიმართებაში 20%-ით გაზრდაზე და შემცირებაზე. 25% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება კომპანიის მენეჯმენტის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას კომპანიის მენეჯმენტის მიერ. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოხატულ დაუფარავ ფულად მუხლებს და აკორექტირებს მათ გადაფასებას პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილების მიხედვით.

2020 წლის 31 დეკემბრისთვის წმინდა მოგებასა და კაპიტალზე აქტივების გადაფასების ეფექტი შემდეგია:

31.12.2020	ლარი/დოლარი 20%	ლარი/დოლარი -25%	ლარი/ევრო -25%	ლარი/ევრო -25%
მოგება/ზარალი	2,615	(2,615)	93,933	(93,933)

2019 წლის 31 დეკემბრისთვის წმინდა მოგებასა და კაპიტალზე აქტივების გადაფასების ეფექტი შემდეგია:

31.12.2019	ლარი/დოლარი 25%	ლარი/დოლარი -25%	ლარი/ევრო -25%	ლარი/ევრო -25%
მოგება/ზარალი	2,291	(2,291)	8,989	(8,989)

2019 წლის 1 იანვრისთვის წმინდა მოგებასა და კაპიტალზე აქტივების გადაფასების ეფექტი შემდეგია:

01.01.2019	ლარი/დოლარი 25%	ლარი/დოლარი -25%	ლარი/ევრო -25%	ლარი/ევრო -25%
მოგება/ზარალი	-	-	531	(531)

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე. კომპანია არ დგას საპროცენტო რისკის წინაშე, რადგანაც კომპანიას გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე მიღებული ან გაცემული სესხები.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების დაუფარავობის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. კომპანიის საკრედიტო რისკი, ძირითადად განპირობებულია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებიდან და ფული და ფულის ეკვივალენტებიდან (გარდა ნაღდი ფულისა).

კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას. კომპანია საკრედიტო რისკის მართვის პოლიტიკის ფარგლებში ახორციელებს ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხის ანალიზს.

კომპანია ახორციელებს ფინანსური აქტივების დარეზერვებას ბასს 39-ის - „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“ მოთხოვნების შესაბამისად. კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკის მიხედვით საკრედიტო რისკის მართვის მიზნებისთვის ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია ხდება შემდეგი კატეგორიების მიხედვით:

- „ვადადაუმდგარი და გაუფასურების გარეშე“
- „ვადადამდგარი, მაგრამ გაუფასურების გარეშე“ და
- „ინდივიდუალურად გაუფასურებული“

16. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

პირველი კატეგორია მოიცავს აქტივებს, რომელიც არ არის ვადაგადაცილებული და არ ექვემდებარება გაუფასურებას.

მეორე კატეგორიაში ერთიანდება აქტივები, რომელიც არის ვადაგადაცილებული, თუმცა ობიექტური მტკიცებულება მათ გაუფასურებასთან დაკავშირებით არ გამოვლენილა. ასევე, ამ კატეგორიაში კლასიფიცირდება აქტივები, რომელიც ვადაგადაცილებულია, თუმცა მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება და უზრუნველყოფა სრულად ფარავს აქტივის ღირებულებას.

მესამე კატეგორია მოიცავს აქტივებს, რომელთა გაუფასურებაზე შემოწმება ხორციელდება ინდივიდუალურ საფუძველზე და იქმნება შესაბამისი რეზერვი. კომპანია საკრედიტო რისკების შეფასებას ახორციელებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს სესხების გასტუმრება და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის მენეჯმენტი ახორციელებს სისტემატიურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს.

კომპანია ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით, და განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის. ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, კომპანია ახდენს მომავალი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს, რომელიც აქტივების/ვალდებულებების მენეჯმენტის პროცესია. 2020 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას გრძელვადიანი ვალდებულებები არ გააჩნია.

17. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც წარმოდგენილია ბასს 24-ში „ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეებზე“, წარმოადგენს:

(ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ კომპანიასთან (მათ შორის, დამფუძნებელ კომპანიასა და ფილიალებთან), ფლობენ წილს კომპანიაში, რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია და ფლობენ საერთო კონტროლს კომპანიაზე;

(ბ) კომპანიის ან მისი მშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს; (გ) (ა) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;

(დ) მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ (გ) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კონტროლირებად ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია.

დაკავშირებული მხარეები მოიცავს მფლობელებს, საერთო მფლობელობაში არსებულ კომპანიებს, ერთობლივ და მეკავშირე საწარმოებს. როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გაითვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი არსი.

კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან არ განუხორციელებია ისეთი არსებითი ოპერაციები, რომლებიც საჭიროებენ დამატებით განმარტებას.

18. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები - ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების მომენტისთვის და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია აწარმოებს სასამართლო დავებს სხვადასხვა ინსტანციებში. წარმოდგენილი მტკიცებულებების და საქმის გარემოებებიდან გამომდინარე კომპანიის მენეჯმენტს სჯერა, რომ მიმდინარე სასამართლო პროცესების უმეტესი ნაწილი დამთავრდება კომპანიის სასარგებლოდ. მენეჯმენტს მიაჩნია, რომ არ მოხდება არანაირი მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად არანაირი ანარეცხი არ არის შექმნილი სასამართლო დავებთან დაკავშირებით.

გადასახადები - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, მენეჯმენტის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და კომპანიას დაეკისროს დამატებითი

გადასახადები, საურავები, პროცენტები. კომპანიას მიაჩნია რომ ყველა გადასახადი გადახდილი აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ინფორმაციაში. საგადასახო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

საოპერაციო გარემო - საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

19. საწარმოს უწყვეტობის განხილვა

მენეჯმენტი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განიხილავს საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია.

მსოფლიო პანდემიის გამო, არსებობს ზოგადი განუსაზღვრელობა COVID 19-ის მომავალი გავრცელების შესახებ, მაგრამ სფეროდან გამომდინარე, რომელშიც კომპანია საქმიანობს, მენეჯმენტი თვლის, რომ არ დგას რისკის ქვეშ კომპანიის ფუნქციონირება მოქმედი საწარმოს პრინციპით.

მენეჯმენტის აზრით, სამედიცინო სფეროში პედიატრიული მიმართულება არის ის ბიზნესის კატეგორია, რომელიც ყველაზე დრამატული სცენარის განვითარების შემთხვევაშიც განაგრძობს მუშაობას და მთავრობის პოლიტიკა COVID 19-ის ბრძოლასთან დაკავშირებით არ შეზღუდავს კომპანიის ნორმალურ რეჟიმში ფუნქციონირებას. კომპანიის მენეჯმენტი აცხადებს, რომ სიძნელების მიუხედავად, საოპერაციო დონეებზე მკვეთრი ცვლილებების გარეშე განაგრძობენ საოპერაციო მოქმედებებს მომავალში. აღნიშნულიდან გამომდინარე, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე.

20. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2020 წლის დასაწყისში ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ COVID-19 კორონავირუსის გავრცელება პანდემიად გამოაცხადა, რომელიც 2021 წელსაც გრძელდება. COVID-19-მა გლობალურად გამოიწვია ბიზნესის საქმიანობაში მკვეთრი შეფერხება და ეკონომიკური მომავლის გაურკვევლობის მნიშვნელოვანი ზრდა. ვალუტის კურსის მკვეთრი უარყოფითი ცვლილება საქმიანობის დაგეგმვას და მომავლის პროგნოზირებას ართულებს, მაგრამ კომპანიის მენეჯმენტს მიაჩნია, რომ შეძლებს ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული უარყოფითი შედეგების დამლევას.

საქართველოს მთავრობამ, 2020 წლის მარტის თვეში, მიიღო გადაწყვეტილება თითქმის ყველა ბიზნეს საქმიანობის შეჩერების შესახებ, გარკვეული გამონაკლისების გარდა. სწორედ გამონაკლისის წარმოადგენა კომპანიის საქმიანობა, რომელიც არ შეჩერებულა არც ერთი დღით.

ასევე, საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულ იქნა მრავალი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება კომპანიების მხარდასაჭერად, რომლებმაც განსაკუთრებული ზიანი მიიღეს მსოფლიო პანდემიის გამო. მათ შორის არის მნიშვნელოვანი საგადასახადო შეღავათები, რომლებიც დაწესდა დასაქმების სტიმულირების და სამუშაო ადგილების შენარჩუნების მიზნით და მოქმედებდა 2020 წლის განმავლობაში. აღნიშნული საგადასახადო შეღავათის მოქმედების ვადა გაგრძელდა 2021 წლის მაისის ჩათვლით პერიოდში. კომპანია იყენებს კანონით განსაზღვრულ ყველა შეღავათს საქმიანობის წარმატებულად განსახორციელებლად.

21. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება გამოშვებულია და დამოწმებულია მენეჯმენტის მიერ 2021 წლის 28 სექტემბერს.

მმართველობის ანგარიშგება

2020 წლის 1 იანვარი - 2020 წლის 31 დეკემბერი

თბილისი, 2021

შინაარსი

ინფორმაცია კომპანიის და მისი საქმიანობის შესახებ	32
საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის აღწერა	33
ანგარიშის წარმდგენი პირი.....	33
კლინიკის მოკლე ისტორია.....	34
კლინიკის ძირითადი პროდუქტები/მომსახურება და საქმიანობის ძირითადი არაფინანსური მაჩვენებლების მიმოხილვა	35
კვლევისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებები.....	39
საქმიანობის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები.....	39
განვითარების გეგმები	40
ძირითადი რისკები და გაურკვევლობები.....	40
დანართი 1	41

ინფორმაცია კომპანიის და მისი საქმიანობის შესახებ

საწარმოს სრული დასახელება	შპს თბილისის პედიატრიული პრივატ კლინიკა
საგადასახადო საიდენტიფიკაციო კოდი	200010022
იურიდიული მისამართი	თბილისი, ზღვისუბანი, მე-11 მ/რ პირველი კვარტალი
სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი და თარიღი	1/4-999; 22/09/1999
საკონტაქტო ტელეფონები	+995 32 2 60 24 60
ელ.ფოსტა	pediatric.privat.clinic@gmail.com
ვებ-გვერდი	https://www.facebook.com/PediatricPrivateClinic/
გენერალური დირექტორი	გიორგი ამისულაშვილი
საქმიანობის სფერო ("ეკონომიკური საქმიანობის სახეების"- Nace-ის მიხედვით)	- საავადმყოფოების საქმიანობა (ძირითადი); - საცალო ვაჭრობა ფარმაცევტული, სამედიცინო,

ანგარიშის წარმდგენი პირი

შპს თბილისის პედიატრიული პრივატ კლინიკა (ყოფილი შპს თბილისის მ. გურამიშვილის სახელობის პედიატრიული კლინიკა) პრივატიზებულია და წარმოადგენს კერძო სამართლის სუბიექტს.


კლინიკის პრივატიზება ჩატარდა (სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ საქართველოს კანონის, საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 24 ოქტომბრის #598 ბრძანებულების, საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 2000 წლის 17 მაისის 1-3/320 ბრძანების, საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის #305 განკარგულების საფუძველზე) 2011 წლის 02 ივნისს.

2013 წლის 2 დეკემბერს კლინიკას ეწოდა შპს თბილისის პედიატრიული პრივატ კლინიკა.

კლინიკა წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელსაც ხელმძღვანელობს და უშუალოდ მართავს გენერალური დირექტორი. კლინიკა საქმიანობას ეწევა საქართველოს კანონმდებლობისა და კლინიკის წესდების შესაბამისად.

სურათი 1.

შპს თბილისის პედიატრიული კლინიკის ორგანიზაციული სტრუქტურა



კლინიკის მოკლე ისტორია

თბილისის პედიატრიული პრივატ კლინიკა თავის საქმიანობას ახორციელებს ქ. თბილისში, მისამართზე: ზღვისუბნის დასახლება, მე-11 მ/რ, პირველ კვარტალი, დისლოკაციის ერთ ადგილზე, ფილიალების გარეშე.

თბილისის პედიატრიული პრივატ კლინიკა 51 წელზე მეტია არსებობს და ღირსეულად ატარებს წამყვანი პედიატრიული დაწესებულების სახელს. კლინიკის შენობა აშენებულია 1966 წელს.

შპს თბილისის პედიატრიული პრივატ კლინიკის ძირითადი საქმიანობის სახეა სამედიცინო საქმიანობა.

შპს თბილისის პედიატრიული პრივატ კლინიკა წარმოადგენს მრავალპროფილურ სამედიცინო დაწესებულებას, რომელიც მოსახლეობას აწვდის როგორც სტაციონარულ, ისე ამბულატორულ სამედიცინო სერვისებს.

სამედიცინო საქმიანობის იურიდიული საფუძველი: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს მიერ 2013 წლის 10 დეკემბერს გამოცემული ბრძანების #02-1729/ო საფუძველზე კლინიკას მიღებული აქვს სტაციონარული საქმიანობის წარმართვის სანებართვო მოწმობა #000659, რომლის საფუძველზე ახორციელებს სტაციონარულ და ამბულატორულ სამედიცინო საქმიანობას 13 სანებართვო მოწმობის დანართის/ლიცენზიის ფარგლებში:

1. ქირურგიული პროფილის საქმიანობა - სანებართვო მოწმობის დანართი #002975.
2. ოტორინოლარინგოლოგია - სანებართვო მოწმობის დანართი #002983
3. რენიმაცია - სანებართვო მოწმობის დანართი 002974
4. ნეონატოლოგია - სანებართვო მოწმობის დანართი 002976
5. გადაუდებელი სამედიცინო დახმარება - EMERGENCY - სანებართვო მოწმობის დანართი 002977
6. რადიოლოგიური საქმიანობა - რენტგენოლოგიური დიაგნოსტიკა - სანებართვო მოწმობის დანართი 002972
7. რადიოლოგიური საქმიანობა - კომპიუტერულ-ტომოგრაფიული კვლევა - სანებართვო მოწმობის დანართი 004611
8. ლაბორატორიული საქმიანობა - კლინიკური დიაგნოსტიკა - სანებართვო მოწმობის დანართი 004594
9. ლაბორატორიული საქმიანობა - ბიოქიმიური დიაგნოსტიკა - სანებართვო მოწმობის დანართი 004595
10. ნეიროქირურგია - სანებართვო მოწმობის დანართი 004852
11. გინეკოლოგიური პროფილის საქმიანობა - სანებართვო მოწმობის დანართი 004952
12. ახალშობილთა ინტენსიური მოვლა - სანებართვო მოწმობის დანართი N005325
13. ბირთვული და რადიაციული საქმიანობის ლიცენზია N000088
14. გადაუდებელი სამედიცინო დახმარება III დონე N000287

კლინიკის შენობის ფასადი განახლებულია 2012 წელს. შენობა 4 სართულიანია, მე-4 სართულზე განთავსებულია ადმინისტრაცია. მე-3 სართულზე განთავსებულია ქირურგიული სექტორი საოპერაციო ბლოკით, მე-2 სართულზე რენიმაციის სექტორი და ახალშობილთა ინტენსიური მოვლის განყოფილება. I სართულის ნაწილი უჭირავს თანამედროვე ამბულატორიულ დეპარტამენტს, ფუნქციონალურ და კლინიკო-დიაგნოსტიკურ კაბინეტებს, ნაწილი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების განყოფილებას, ხოლო ორსართულიანი ფლიგელის მე-2 სართულზე განთავსებულია პედიატრის სექტორი. პირველ სართულზე ანტირაბიის კაბინეტი და არქივი.

შენობას აქვს ვენტილაციის, ცენტრალიზებული წყალმომარაგების, ელექტრო მომარაგების, გათბობის

და კონდიციონერების ცენტრალიზებული სისტემა, აგრეთვე ავტონომიური დენის წყარო. პაციენტთა სამედიცინო მომსახურების საქმეში უწყვეტობის შენარჩუნებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით კლინიკას გააჩნია ელექტრო და წყალმომარაგების ალტერნატიული, სარეზერვო წყაროები.

სურათი 2. შპს თბილისის პედიატრიული პრივატ კლინიკის შენობა



საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლები

კლინიკა მოსახლეობას 30-მდე დასახელების სამედიცინო სერვისს აწვდის. ქვემოთ მოყვანილია კლინიკის მიერ უზრუნველყოფილი სერვისების (როგორც სტაციონარული, ისე ამბულატორიული) სრული ჩამონათვალი:

პედიატრია, ნეონატოლოგია, რენიმაცია, ქირურგია, გინეკოლოგია, ყბა-სახის ქირურგია, ნეიროქირურგია, ორთოპედია-ტრავმატოლოგია, ოტორინოლარინგოლოგია, თორაკო-ქირურგია, ანტირაბია, უროლოგია, გადაუდებელი სამედიცინო დახმარება, კარდიო-რევმატოლოგია, ნევროლოგია, გასტროენტეროლოგია, ოფთალმოლოგია, ენდოკრინოლოგია, ნეფროლოგია, იმუნიზაცია, რადიოლოგია (რენტგენი, კომპიუტერული ტომოგრაფია, ულტრასონოგრაფია, კარდიოექსკოპია, ნეიროსონოსკოპია), ლაბორატორიული საქმიანობა (კლინიკური, ბიოქიმიური, ბაქტერიოლოგიური), ფიზიოთერაპია, ახალშობილთა ინტენსიური მოვლა.

სამედიცინო დახმარება ხორციელდება ისეთი უახლესი სამედიცინო აპარატურით, როგორიცაა:

- ხელოვნური სუნთქვის აპარატი ახალშობილთათვის Avea Carefusion (Neonatal+Adult) (დრეგერი, გერმანია)
- ხელოვნური სუნთქვის აპარატი Sipap, BABZLOG8000, EVITA 1, BPB 840 (პურიტან ბენეტი)
- ახალშობილთა ფოტოთერაპიის აპარატი

- ნეონატალური გამათბობელი Panda Warmer, Lullaby Warmer, AW-1
 - ნეონატალური ინკუბატორი Drager Cuve, General Electrics, AL-2 LUX
 - ფოტოთერაპიის სისტემა
 - რენტგენოგრაფიის აპარატი Axiom Iconos MD (სიმენსი, გერმანია)
 - რენტგენოგრაფიის აპარატი Ziehm 8000 (ზიემი, გერმანია)
 - რენტგენოგრაფიის აპარატი Proslair 32-DR (პროტეკ, გერმანია)
 - კომპიუტერულ-ტომოგრაფიული აპარატი Somation Sensation (სიმენსი, გერმანია)
 - აპარატი EKG+Fonokardiograf 6 არხიანი (გერმანია)
 - სისხლის საერთო ანალიზისთვის ანალიზატორი - სისხლში გაზების ანალიზატორი
 - აპარატი ბიოქიმიური კვლევისათვის
 - აპარატი შარდის განმსაზღვრელი
 - ადენოტონზილექტომიის აპარატი Coblator II
 - ექოსკოპიის/ულტრასონოგრაფიის აპარატი სექტორული გადამწოდით TOSHIBA POVERVISION 6000
 - დეფიბრილატორი
 - საანესთეზიო აპარატი
 - სპირომეტრი BTL-08 Spiro Pro
 - სტერილიზატორი CELETRON
 - სტერილური ინსტრუმენტების შესაფუთი აპარატი
 - ჟანგბადის ქარხანა
 - ცენტრალიზებული სასტერილიზაციო სისტემა
- და სხვ.

სურათი N3.

კლინიკის პალატები





კლინიკაში დასაქმებულია ექიმები, ექთნები და სხვა დამხმარე პერსონალი
2020 წელს კლინიკის თანამშრომელთა რაოდენობა არის - 217.

ცხრილი 1. თანამშრომელთა რაოდენობა

წელი	2020	2019
თანამშრომელთა რაოდენობა	217	210

2020 წელს კლინიკამ სამედიცინო მომსახურება გაუწია 13856 პაციენტს. მათ შორის სტაციონარში ჰოსპიტალიზებულ იქნა 1920 პაციენტი, კლინიკის გადაუდებელი სამედიცინო დახმარების განყოფილებაში გატარდა 9842 პაციენტი, კლინიკის საკონსულტაციო-დიაგნოსტიკურ ცენტრში გატარდა 2094 პაციენტი.

2019 წელს კლინიკამ სამედიცინო მომსახურება გაუწია 24167 პაციენტს. მათ შორის სტაციონარში ჰოსპიტალიზებულ იქნა 2808 პაციენტი. კლინიკის გადაუდებელი სამედიცინო დახმარების განყოფილებაში გატარდა 15902 პაციენტი. კლინიკის საკონსულტაციო-დიაგნოსტიკურ ცენტრში გატარდა 5457 პაციენტი.

ცხრილი 2. კლინიკაში ჰოსპიტალიზებული პაციენტების რაოდენობა 2020-2019

N	წელი/პროფილი	2020	2019
1	პედიატრიული სექტორი	1175	1749
2	რენიმაციის სექტორი	310	392
3	ქირურგიული სექტორი	435	667
4	გადაუდებელი სამედიცინო დახმარება	9842	15902
	სულ	11762	18710

გაიდლაინებითა და პროტოკოლებით, კლინიკის ექიმები სისტემატიურად გადიან პროფესიულ მომზადებას, ექიმებისთვის ხელმისაწვდომია უახლესი ინფორმაციები სხვადასხვა დაავადებებისა და მდგომარეობების მართვის შესახებ. კლინიკის მენეჯმენტი და ექიმების გუნდი სისტემატიურად მუშაობს რესურსტევადი და ხარჯტევადი მაღალ რისკთან დაკავშირებული სამედიცინო სერვისების შესამცირებლად.

2020 წელს საწოლთა ფონდი შეადგენდა 100 ერთეულს, აქედან ემერჯენსი 6; **2019** წელს 115, აქედან ემერჯენსი 10.

2020 წელს დაფიქსირდა ლეტალობის 23 ეპიზოდი; **2019** წელს დაფიქსირდა ლეტალობის 19 ეპიზოდი.

2020 წელს ჩატარდა 568 ოპერაცია, მათ შორის 212 გეგმიური, ხოლო 356 გადაუდებელი ოპერაცია; **2019** წელს ჩატარდა 826 ოპერაცია, მათ შორის 421 გეგმიური, ხოლო 405 გადაუდებელი ოპერაცია.

2020 წელს ჩატარდა 11475 რენტგენოლოგიური კვლევა, 109 კომპიუტერულ-ტომოგრაფიული კვლევა, 46759 ლაბორატორიული კვლევა, 1844 ანტირაბიული აცრა; **2019** წელს ჩატარდა 14840 რენტგენოლოგიური კვლევა, 415 კომპიუტერულ-ტომოგრაფიული კვლევა, 59892 ლაბორატორიული კვლევა, 1961 ანტირაბიული აცრა.

კვლევისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებები

კომპანიაში მუდმივად მიმდინარეობას არსებული სამედიცინო პროდუქტების განვითარებაზე მუშაობა. შესაბამისად, 2020 წლის განმავლობაში კლინიკაში მიმდინარეობდა ინოვაციური ღონისძიებების დაწესება ახალი ან უკვე არსებული პროდუქტების განვითარების ან გაუმჯობესების მიზნით.

საქმიანობის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

კლინიკის შემოსავლების ძირითადი წყარო დამფინანსებლების მიხედვით არის სახელმწიფო პროგრამებიდან მიღებული ფულადი რესურსები (კლინიკა მონაწილეობს საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამისა და ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების განხორციელებაში), ასევე, კერძო სადაზღვევო კომპანიების დაზღვევულთათვის გაწეული სამედიცინო მომსახურებით მიღებული შემოსავალი, პაციენტთა მიერ გადახდილი თანხები და სხვა.

კლინიკის 2020 წლის ფინანსური მაჩვენებლების მიხედვით შემოსავლები შემცირებულია 2019 წელთან შედარებით. COVID 19-ის პანდემიამ უარყოფითი გავლენა მოახდინა როგორც გეგმიურ, ასევე გადაუდებელი სამედიცინო სერვისებიდან მიღებულ შემოსავლებზე. როგორც ზემოთ არის განმარტებული, მკვეთრად შემცირებულია კლინიკაში გატარებული პაციენტების რაოდენობა.

2020 წელს სამედიცინო საქმიანობით მიღებულმა შემოსავალმა 5 385 613 ლარი, ხოლო 2019 წელს 7 266 786 ლარი შეადგინა.

კომპანიის საქმიანობის შედეგების ამსახველი ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები (ლარში):

	2020	2019
საოპერაციო შემოსავალი	5,661,861	7,435,310
საოპერაციო ხარჯები	(4,255,678)	(4,500,551)
საოპერაციო მოგება	1,406,183	2,934,759
წმინდა მოგება	1,642,382	3,007,713

კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ამსახველი ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები (ლარში):

	31.12.2020	31.12.2019
მთლიანი აქტივები	12,148,232	12,547,687
საკუთარი კაპიტალი	11,665,011	12,051,488
მთლიანი ვალდებულებები	483,221	496,199

კომპანია აფასებს საკუთარ შედეგებს შემდეგი ძირითადი ფინანსური მაჩვენებლებით:

საოპერაციო მოგების მარჟა - 2020 წელი - 24.84%- 2019 წელი - 39.47%

(საოპერაციო მოგება/საოპერაციო შემოსავალი)

წმინდა მოგების მარჟა - 2020 წელი - 29.01%- 2019 წელი - 40.45%

(წმინდა მოგება/საოპერაციო შემოსავალი)

EBITDA – 2020 წელს - 37.8%- – 2019 წელს - 46.6%

(წმინდა მოგება + საპროცენტო ხარჯი + მოგების გადასახადის ხარჯი + ცვეთა)/საოპერაციო შემოსავალი

უკუგება კაპიტალზე (ROE) –2020 წელი 14.1% - 2019 წელი - 25%

(წმინდა მოგება/ კაპიტალი)

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კლინიკას არ აქვს ბიუჯეტის მიმართ დავალიანება, არ აქვს ვადაგასული კრედიტორული დავალიანებები. საფინანსო მაჩვენებლის მიხედვით კლინიკას მდგრადი ფინანსური მდგომარეობა გააჩნია.

კლინიკა ბაზრის წამყვან ფარმაცევტულ კომპანიებთან თანამშრომლობს: შპს „ავერსი ფარმა“, სს „გეფა“, შპს „კსპ ფარმა“ და სხვ. რომლებიც კლინიკას ფარმაცევტულ პროდუქციასა და სამედიცინო დანიშნულების სახარჯ მასალებს აწვდიან. კლინიკა ასევე, თანამშრომლობს ისეთ ცნობილ სამედიცინო აპარატურის მწარმოებელ კომპანიებთან, როგორიცაა სიმენსი, ჯენერალ ელექტრიკი, ტომიბა, ჰიტაჩი-რომე, ჰუმანა დიაგნოსტიკ და სხვ.

კლინიკის პარტნიორი ბანკებია: სს „თიბისი ბანკი“ და სს „ტერა ბანკი“.

განვითარების გეგმები

2020 წლის სამედიცინო და საფინანსო მონაცემები კლინიკას საშუალებას აძლევს მომდევნო წელს დაგეგმოს არსებული სამედიცინო სერვისების გაფართოების და გაუმჯობესების ღონისძიებები, ასევე, ახალი სერვისების დამატებასთან დაკავშირებული სამუშაოები.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

ფინანსური რისკები

საოპერაციო რისკების გარდა, კომპანია საქმიანობის პროცესში დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილი რისკების წინაშე. კომპანიის ძირითად ფინანსურ რისკებს წარმოადგენს საკრედიტო, ლიკვიდურობის, საპროცენტო განაკვეთებისა და სავალუტო რისკები.

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების დაუფარავობის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. კლინიკის მოთხოვნების (დებიტორული დავალიანების) ძირითადი ნაწილი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოზე მოდის.

კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას. კომპანია საკრედიტო რისკის მართვის პოლიტიკის ფარგლებში ახორციელებს ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხის ანალიზს. ფინანსური მოთხოვნების საკრედიტო ანალიზი მოცემულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნაში (შენიშვნა 18).

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის მენეჯმენტი ახორციელებს სისტემატიურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე. კომპანია ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით, და განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის. ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, კომპანია ახდენს მომავალი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს. ფინანსური ინსტრუმენტების ლიკვიდურობის ანალიზი მოცემულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნაში (შენიშვნა 18).

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შემცირების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილების შედეგად. კომპანიის საბაზრო რისკი წარმოიშობა პროცენტის მატარებელი და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების და ვალუტის კურსის ცვლილებებთან კავშირში. კომპანია არ დგას საპროცენტო რისკის წინაშე, რადგან მიმდინარე და შესადარის პერიოდში არ გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტები. სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო. კომპანია არ

იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის მართვისთვის. ფინანსური ინსტრუმენტების სავალუტო ანალიზი მოცემულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნაში (შენიშვნა 18).

დანართი 1

განმარტებები არაფინანსური მაჩვენებლების გაანგარიშებასთან

დაკავშირებით: განმარტება 1. გატარებული პაციენტების რაოდენობა

(სტაციონარი)

საანგარიშო წლის განმავლობაში კლინიკის მიერ ჰოსპიტალიზებული პაციენტების რაოდენობა.

განმარტება 2. საწოლზე დაყოვნების საშუალო დაყოვნების მაჩვენებელი

(გატარებული საწოლ-დღეების საერთო რაოდენობა) / (ჰოსპიტალიზაციის ყველა შემთხვევის რაოდენობა). აღნიშნული მაჩვენებელი ხარისხობრივი მაჩვენებლების კატეგორიას განეკუთვნება. როცა კლინიკაში სამედიცინო საქმიანობა კარგადაა ორგანიზებული, პაციენტის დიაგნოსტიკა და მკურნალობა სტანდარტების შესაბამისად, ოპერატიულად, დროითი დანაკარგის გარეშე მიმდინარეობს. პაციენტი კლინიკაში დიდხანს არ ყოვნდება, სასურველი შედეგის მიღწევა დროულად ხდება, პაციენტი ამოწურავს ჰოსპიტალიზაციის სტანდარტით გათვალისწინებულ ვადას (დაასრულებს სტაციონარული მკურნალობის ეტაპს) და ეწერება კლინიკიდან ამბულატორული მკურნალობისა და რეაბილიტაციისთვის.

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2021 წლის 28 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

გენერალური დირექტორი _____ გ.ამისულაშვილი